



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №17/51

2017 წლის 28 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის “ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹- ე მუხლის მე-15 პუნქტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 116¹-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს განიხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (ანგარიში თან ერთვის).

მუხლი 2.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა:

ა) განიხილოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული რეკომენდაციები სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების კრიტერიუმების თაობაზე.

ბ) გაერთიანებაში შემავალ სპორტულ სკოლებთან ერთად გაატაროს ღონისძიებები 2018 წლის კალენდარული გეგმის შესადგენად.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია